საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №64

2026 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აგვისტოს №9 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/08/2015წ., სარეგისტრაციო კოდი: 130000000.63.075.016009) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) რეგიონალური მთავარი სამმართველოები:

ვ.ა) აჭარის ა/რ რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.ბ) კახეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.გ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.დ) სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.ე) ქვემო ქართლის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.ვ) იმერეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.ზ) შიდა ქართლის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.თ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.ი) გურიის რეგიონალური მთავარი სამმართველო;

ვ.კ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური მთავარი სამმართველო;“.

2. მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სააგენტოს კომპეტენციიდან გამომდინარე, ოპერატიული და ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, ოპერატიული საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრას, ანალიზსა და სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის მოხსენებას; აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას როგორც სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის, ასევე სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის; სააგენტოს საქმიანობისთვის აუცილებელი ოპერატიული და საინფორმაციო ბაზების შექმნას, მართვასა და სისტემურ განახლებას, ასევე სტრუქტურული ერთეულებისა და

რეგიონალური მთავარი სამმართველოების მიერ განხორციელებული ანალიტიკური საქმიანობის კოორდინაციასა და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას;“.

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. რეგიონალური მთავარი სამმართველოების კომპეტენცია

რეგიონალური მთავარი სამმართველოები იქმნება ტერიტორიული პრინციპით და უზრუნველყოფენ სააგენტოს დებულებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 12 მარტიდან.

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **მამუკა მდინარაძე**